www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2018

I კვარტალი

04.06.2018

www.geostat.ge

04.06.2018

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2018 წლის I კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,6%-ით გაიზარდა და 18,0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 8,7 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 16,0%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიდის მაჩვენებელს:



2018 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 47,5% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 21,4% - საშუალო, ხოლო 31,1% - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 43,5%, საშუალოზე - 24,9%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31,6%.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2018 წლის I კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის I კვარტალში 12,7 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,4%-ით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 8,3 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,3%-ით მეტი).

2018 წლის I კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 637,0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5,3%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40,6% ქალია, ხოლო 59,4% - კაცი.



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 37,2% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22,2% - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 40,6% - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 603,6 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,7%-ით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 2017,1 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14,3 %-ით მეტი).

2018 წლის I კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1106,4 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 82,4 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 841,1 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 64,7 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1193.2 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1219.6 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 944.1 ლარი.

2018 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 46,3% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა - 10,9%-იანი წილით, შემდეგ მოდის ხელოვნება, გართობა და დასვენება 10,8%-იანი წილით, მშენებლობა - 7,5%-იანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება 6,5%-იანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 5,3%-იანი წილით, ხოლო დარჩენილი 12,7% კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2018 წლის I კვარტალი



2018 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21,9%) და ვაჭრობა (17,2%). შემდეგ მოდის მშენებლობა (16,7%) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9,6%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 34,6 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2018 წლის I კვარტალი



2018 წლის I კვარტალში, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25,6%, 13,1% და 10,6%-იანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (10,0%), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8,3%) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2018 წლის I კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**15160.6**	**17980.2**	**118.6**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	90.1	109.5	121.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	149.4	168.7	112.9
დამამუშავებელი მრეწველობა	1686.1	1967.3	116.7
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	882.8	949.3	107.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	51.8	59.5	114.9

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტალთან შედარებით
მშენებლობა	1177.9	1352.8	114.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	7132.9	8327.0	116.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	1083.0	1167.3	107.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	309.0	367.0	118.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	119.6	151.5	126.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	189.4	215.5	113.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	376.5	390.7	103.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	227.1	278.0	122.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	253.5	293.8	115.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	171.0	220.7	129.0
განათლება	85.8	97.5	113.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	230.5	260.5	113.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1227.0	1935.7	157.8
სხვა სახის მომსახურება	26.1	35.0	133.9

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2018 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**7496.2**	**8692.2**	**116.0**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	91.7	111.9	122.0

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტალთან შედარებით
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	143.6	168.6	117.4
დამამუშავებელი მრეწველობა	1616.6	1907.3	118.0
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	311.8	420.3	134.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	52.7	67.8	128.6
მშენებლობა	1232.3	1454.6	118.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1382.8	1495.9	108.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	768.0	834.5	108.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	310.3	368.0	118.6
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	121.1	152.4	125.8
საკვებით და სასმელებით მომსახურება	189.2	215.6	114.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	316.6	338.5	106.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	228.9	279.3	122.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	210.5	257.8	122.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	124.5	156.5	125.7
განათლება	91.3	102.2	111.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	385.9	412.7	106.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	202.9	282.1	139.1
სხვა სახის მომსახურება	25.7	34.3	133.1

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

ეკონომიკური საქმიანობის სახეების

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE rev. 2	2017 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტალი	2018 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**604984**	**637047**	**105.3**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	10981	11377	103.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	7498	8228	109.7
დამამუშავებელი მრეწველობა	80347	83321	103.7
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14981	14793	98.7
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	13850	14335	103.5
მშენებლობა	59366	63837	107.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	155367	163229	105.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	50295	53021	105.4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	31881	33911	106.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12446	12747	102.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	19435	21164	108.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	17532	19132	109.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	16398	17256	105.2
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	19100	20728	108.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	19489	20990	107.7
განათლება	23241	23603	101.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	64838	67398	103.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	12394	13775	111.1
სხვა სახის მომსახურება	7427	8113	109.2

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 72.4%,
- ქვემო ქართლი – 7.2%,
- აჭარის ა.რ. – 6.8%,
- იმერეთი – 4.5%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.2%

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 64.6%,
- ქვემო ქართლი – 9.3%,
- აჭარის ა.რ. – 8.3%,
- იმერეთი – 6.0%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8%.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.0%,
- აჭარის ა.რ. – 9.5%,
- იმერეთი – 6.9%,
- ქვემო ქართლი – 5.5%,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.0%.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:
   1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
   2. შპს „საქართველოს ფოსტა“
   3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
   4. სს „სილქნეტი“
   5. სს „საქართველოს რკინიგზა“
   6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
   7. სს „საქენერგორემონტი“
   8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია:**

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2)

სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“

G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge